შუშანიკის წამება -

შინაარსი

I თავი

და ახლა დანამდვილებით გეტყვით წმინდა და სანატრელი შუშანიკის აღსასრულის ამბავს.

ეს მოხდა სპარსთა მეფობის მერვე წელს, სასახლის კარზე გაემგზავრა ვარსქენ პიტიახში, არშუშას ძე, დაბადებიდან ქრისტიანი. მისი დედ-მამაც ქრისტიანები იყვნენ.

პიტიახს ცოლად ჰყავდა სომეხთა მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის ასული, მამისგან ვარდანად წოდებული, მოფერებით კი შუშანიკი, ბავშვობიდან ღვთისმოშიში, როგორც ეს უკვე აღვნიშნე.

თავისი ქმრის უკეთურობის გამო იგი მუდამ შეფიქრიანებული იყო და ყველას ევედრებოდა, ელოცათ მისთვის, რათა ღმერთს შეეცვალა პიტიახშის უგუნური ბუნება და ქრისტიანობისკენ მოებრუნებინა.

როგორ თქვას ვინმემ, თუ როგორ უარყო ყოვლად საბრალომ და სამგზის შესაწყალებელმა ვარსქენმა ქრისტეს რწმენა?! ანუ ვინ არ ტიროდეს მისთვის, ვისაც არც ჭირი უნახავს, არც შიში და პატიმრობა განუცდია ქრისტიანობისთვის?!

წარემართა ვარსქენი სპარსეთის მეფის კარზე არა პატივის მისაღებად, არამედ იმისთვის, რომ საკუთარი თავი ძღვნად შეეწირა ჭეშმარიტი ღმერთის უარყოფითა და ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღებით.

უბადრუკი პიტიახში სპარსეთის მეფეს სრული მორჩილების ნიშნად ასულს სთხოვდა ცოლად და ეუბნებოდა:

“ჩემს კანონიერ ცოლსა და შვილებსაც მოვაქცევ შენს რჯულზე, როგორც მე”.

და ამას ამბობდა ისე, რომ შუშანიკისგან დასტური არ ჰქონდა. მაშინ გაიხარა სპარსეთის მეფემ და ბრძანა, მისი ასული ვარსქენისთვის მიეთხოვებინათ.

II

გამოეთხოვა სპარსეთის მეფეს პიტიახში და როდესაც ქართლის საზღვარს, ჰერეთს, მიაღწია, განიზრახა ეუწყებინა, რომ მიგებებოდნენ აზნაურები, მათი შვილები და მსახურები, რათა მათი მეშვეობით, როგორც ქვეყნის ერთგული, ისე შესულიყო საკუთარ სამფლობელოში.

როდესაც დაბა ცურტავში მივიდა, პიტიახშმა სადესპანო ცხენით გააგზავნა თავისი მონა.

ვარსქენის გამოგზავნილი კაცი შევიდა შუშანიკთან, ჩვენს დედოფალთან და მოიკითხა, ხოლო სანატრელმა შუშანიკმა, როგორც წინასწარმეტყველმა მიუგო:

“თუ ის სულით არ დაცემულა, შენც და ისიც ცოცხლები ხართ; თუ სული წარიწყმიდეთ, შენი მოკითხვა შენვე მოგიბრუნდეს.”

იმ კაცმა ვეღარაფერი ჰკადრა დედოფალს. ხოლო წმინდა შუშანი აფიცებდა მას და დაჟინებით ეკითხებოდა. ხოლო იმ კაცმა აღიარა სიმართლე და უთხრა:

“ვარსქენმა უარყო ჭეშმარიტი ღმერთი”.

ეს რომ შუშანიკმა შეიტყო, დავარდა და თავს დაბლა ურტყამდა და მწარე ცრემლებით ამბობდა:

“საცოდავია უბადრუკი ვარსქენი, რადგან უარყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და ურჯულოებს შეუერთდა”.

დატოვა დედოფალმა სასახლე და ღვთისმოშიშებით ეკლესიას მიაშურა და თან წაიყვანა სამი ვაჟი და ერთი ასული; შვილები საკურთხევლის წინ დააყენა და ასე ლოცულობდა:

“უფალო ღმერთო, შენი მოცემულნი არიან და შენვე დაიცავი, წმინდა ემბაზისგან სულიწმიდის მადლით განათლებულნი. ყოფად ერთ სამწყსოდ ერთისა მწყემსისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი”.

და როდესაც საღამოს ლოცვა აღესრულა, გამწარებული ეკლესიის მახლობლად მდებარე პატარა სახლში შევიდა, ერთ კუთხეში კედელს მიეყრდნო და მწარედ ატირდ

III

ამ დროს პიტიახშის კარის ეპისკოპოსი აფოცი იქ არ იმყოფებოდა, რადგან ერთ წმინდა კაცთან იყო წასული რაღაცის საკითხავად. მეც, დედოფლის ხუცესი, ვახლდი ეპისკოპოსს.

ამ დროს ჩვენთან შინიდან მოვიდა დიაკვანი, რომელმაც ყოველივე მოგვითხრო - პიტიახშის დაბრუნების ამბავი და დედოფლის საქმეები. დიდი მწუხარებით აღგვავსო ამ ამბავმა, ვტიროდით გამწარებულები ჩვენი ცოდვების წარმოსაჩენად.

მე ადრე წამოვედი და მივედი იმ დაბას, სადაც შუშანიკი იმყოფებოდა. როდესაც გამწარებული დედოფალლი ვიხილე, მასთან ერთად ავტირდი და ვუთხარი ნეტარ შუსანიკს:

”დიდ ღვაწლს შესდგომიხარ, დედოფალო, დაიცავი ქრისტეს სარწმუნოება და მტერს არ მისცე ნება, რომ როგორც სირსვილამ საძოვარი ჰპოვოს შენს სულში.”

ხოლო შუშანიკმა მიპასუხა:

“ხუცეს, დიდი განსაცდელისთვის მზად ვარ”;

მეკი მივუგე:

“მხნედ იყავ, მომთმენი და სულგრძელი”.

მან კი მიპასუხა:

”მხოლოდ ჩემი გადასატანია ეს განსაცდელი”.

მე კი ვუპასუხე:

“შენი ჭირი, ჩვენი ჭირია, შენი სიხარული - ჩვენი სიხარული. შენ მხოლოდ ჩვენი დედოფალი როდი იყავი, არამედ როგორც შვილებს, ისე გვივლიდი”.

და მე გავანდე სანატრელ შუშანიკს ჩემი სურვილი საიდუმლოდ:

“ყოველივე მიამბე, რასაც აპირებ, რათა ვიცოდე და აღვწერო შენი ღვაწლი”.

ხოლო მან მკითხა:

”რატომ მეკითხები?”

მე ვკითხე:

“მტკიცედ დგახარ?”

მაშინ კი მიპასუხა:

”ღმერთმა არ ქნას, ვეზიარო ვარსქენის ბოროტ საქმეებსა და ცოდვებს.”

მე კი ვუთხარი:

“ბოროტი გონება აქვს მას და მრავალ ტანჯვასა და განსაცდელს მოგაყენებს’. მან კი მიპასუხა:

“მიჯობს მისი ხელით მოვკვდე, ვიდრე მას შევუერთდე და სული წავიწყმიდო, რადგან მსმენია პავლე მოციქულის სიტყვები:” არ დაემონო არც ძმას, არც დას, არამედ განშორდი”.

და მე დავუდასტურე:

“ასეა”.

IV

და როდესაც ვსაუბრობდით, მოვიდა ერთი ვინმე სპარსი, შევიდა დედოფალთან და ტირილით ეუბნებოდა:

”სახლში, სადაც მშვიდობა სუფევდა, უბედურებამ დაისადგურა, სიხარული მწუხარებამ შეცვალა”.

ეს კაცი ვარსქენის თანამზრახველი იყო და ამას ვერაგულად ამბობდა, რადგან ნეტარი შუშანიკის გულის მოგება სურდა. ხოლო წმინდანი მიუხვდა განზრახვას და თავი შორს დაიჭირა.

სამი დღის შემდეგ მოვიდა ვარსქენ პიტიახში, სპარსმა მას ფარულად ამცნო:

”როგორც მაცნობეს, ცოლი განგდგომია და გეტყვი შენ: ”მკაცრად ნურაფერს ეტყვი, რადგან ქალებს სათუთი ბუნება აქვთ.”

მეორე დღეს, როგორც კი პიტიახში ადგა, გვიხმო მღვდლები და ჩვენც მივედით, სიხარულით შეგვეგება და გვითხრა:

”ნუ მომერიდებით და ნურც მომიძულებთ.”

ჩვენ კი მივუგეთ:

”თავი დაიღუპე და და ჩვენც დაგვღუპე”.

მაშინ კი დაიწყო საუბარი პიტიახშმა:

“რატომ მომექცა ჩემი ცოლი ასე? ახლა წადით და უთხარით, “შენ ჩემი ოჯახი დააქციე და ჩემს სარეცელს ნაცარი გადააყარე, შენი სამყოფელი დაგიტოვებია და სხვაგან წასულხარ”.

ხოლო წმინდა შუშანიკმა თქვა:

”მე არ აღმიმართავს ის ხატი, მე რომ დამემხო. ხოლო მამაშენმა ააშენა ეკლესიები და სამარტვილონი, შენ კი მამაშენის ღვაწლი წაახდინე და მისი კეთილი საქმეები ბოროტებად აქციე; მამაშენმა წმინდანები შემოიკრიბა, შენ კი უწმინდურები შემოიკრიბე; მან ცისა და ქვეყნის ღმერთი აღიარა და ირწმუნა, შენ კი ჭეშმარიტი ღმერთი უარყავი და ცეცხლს ეთაყვანე.

და რამეთუ შენ შემოქმედი შენი უარყავი, ამითი მე შეურაცხმყავი და მრავალი ტანჯვაც რომ მომაყენო, არ ვეზიარები შენს საქმეებს.”

ჩვენ ყოველივე ეს გადავეცით პიტიახშს, რომელიც სასტიკად განრისხდა და მრისხანებდა.

V

შემდეგ ვარსქენმა შუშანიკთან გააგზავნა თავისი ძმა ჯოჯიკი, მისი ცოლი, კარის ეპისკოპოსი აფოცი და დააბარა მათ:

“ასე უთხარით, ადექი და დაბრუნდი, თუ გონზე ხარ! თუ არა და ძალით წამოგათრევ.”

როგორც კი მივიდნენ და შევიდნენ დედოფალთან, ბევრს არწმუნებდნენ. მაშინ შუშანიკმა თქვა:

”კაცნო ბრძენნო, კარგად საუბრობთ, მაგრამ ნუთუ გჯერათ, რომ მე მისი ცოლი კიდევ ვიქნები? მეგონა, ჩემს რჯულზე მოვაქცევდი, რათა ღმერთი ჭეშმარიტი ეღიარებინა, და ახლა მე მაიძულებთ ამის გაკეთებას? ამას არ ვიზამ! და შენ ჯოჯიკ, ჩემი მაზლი აღარ ხარ და არც მე შენი ძმის ცოლი, შენი ცოლიც აღარ არის ჩემი და, რადგანაც მისი მომხრე და მისი საქმეთა თანაზიარნი ხართ”.

ჯოჯიკმა თქვა:

”ვიცი რომ ვარსქენი მოავლენს მსახურებს და ძალით წაგიყვანს.”

წმინდა შუშანიკმა უპასუხა:

”რომც შემკრას და მათრიოს, მიხარია, რადგან ეს იქნება ჩემი და მისი განშორების საწინდარი”.

როდესაც დედოფლის ეს სიტყვები მოისმინეს, ყველა ტიროდა, თვალცრემლიანი ჯოჯიკი ადგა და გარეთ გავიდა. ხოლო წმინდა შუშანიკმა უთხრა ეპისკოპოსს:

”როგორ ცდილობ ჩემს გადარწმუნებას, მან ხომ ღმერთი ჭეშმარიტი უარყო.”

ხოლო ჯოჯიკი ევედრებოდა და ეტყოდა:

”შენ ჩვენი და ხარ, ნუ წარწყმიდავ სადედოფლო სასახლეს.”

შუშანიკმა კი უპასუხა:

“ვიცი რომ და ვარ და ერთად გაზრდილებიც, მაგრამ ამას ვერ ვიზამ, დანაშაული რომ მოხდეს და ამაში თქვენც ბრალი გქონდეთ.”

და მეტად რომ აწუხებდნენ ხვეწნით, ადგა წმინდა და ნეტარი შუშანიკი და თან წაიღო თავისი ევანგელე და ტირილით ამბობდა:

”უფალო ღმერთო, შენ იცი, რომ მე ნამდვილად სიკვდილზე მივდივარ.”

ეს თქვა და წაჰყვა მათ და თან წაიღო თავისი სახარება და სხვა მოწამეთა წიგნები. როდესა შუშანიკი სასახლეში დაბრუნდა, არ შესულა თავის სადედოფლო ოთახში, არამედ ერთ პატარა სენაკში დაბინავდა. აღაპყრო ხელები ზეცისკენ წმინდა შუშანიკმა და თქვა:

“უფალო ღმერთო, არც მღვდელაგან აღმოჩნდა ვინმე ჩემი ქომაგი და არც ერისკაცთაგან მოიძებნა ჩემი გულშემატკივარი ამ სახლში, ყველამ სასიკვდილოდ გადამცა ღვთის მტერ ვარსქენს.”

VI

ორი დღის შემდეგ სასახლეში მოვიდა “მგელ იგი” ვარსქენი და უთხრა მსახურებს:

”დღეს მე, ჯოჯიკმა და მისმა ცოლმა ერთად უნდა ვივახშმოთ და ნურავის მისცემთ ჩვენთან შემოსვლის უფლებას.”

და როდესაც შებინდდა, უხმეს ჯოჯიკის ცოლს სავახშმოდ, რათა მოეყვანათ წმინდა შუშანიკიც. და როდესაც პურობის დრო მოახლოვდა ჯოჯიკი და მისი ცოლი შუშანიკთან შევიდნენ, რათა მისთვისაც ეჭმიათ პური, რადგან ამ ხნის მანძილზე დედოფალს არაფერი ეგემა, და ძალით წაიყვანეს სასახლეში.

შუშანიკმა პირი არაფერს დააკარა, ხოლო ჯოჯიკის ცოლმა მას ღვინით სავსე ფიალა მიაწოდა, რათა ეს მაინც შეესვა. განრისხებულმა შუშანიკმა თქვა:

“როდის ყოფილა, რომ ქალსა და კაცს ერთად ეჭამათ პური?!”

დედოფალმა გაიქნია ხელი და ღვინით სავსე თასი სახეში შეალეწა ჯოჯიკის ცოლს, ღვინო კი დაიქცა.

მაშინ დაიწყო ვარსქენმა გინება და შუშანიკის წიხლებით ცემა, შემდეგ კი აიღო ასტამი, სახეში ჩაარტყა და თვალი დაუსია.

იგი უწყალოდ ურტყამდა სახეში მუშტებს და თმით ათრევდა დედოფალს. გამხეცებული ვარსქენი ყვიროდა, როგორც მძვინვარე მხეცი და ცოფიანივით ღრიალებდა.

მაშინ მისაშველებლად წამოდგა ჯოჯიკი და იბრძოდნენ მანამ, სანამ მასაც არ მოხვდა, ვარსქენმა მას თავიდან კუბასტი მოგლიჯა და ძლივს გამოაცალა ჯოჯიკმა ხელიდან ვარსქენს შუშანიკი, ისე როგორც მგელს კრავი.

მკვდარივით იწვა შუშანიკი მიწაზე, ვარსქენი კი აგინებდა მის გვარ-ჯიშს და ოჯახის მაოხრებელს ეძახდა; ბოლოს ბრძანა, შეეკრათ დედოფალი და ფეხებზე ბორკილი დაედოთ.

როდესაც ვარსქენი ოდნავ დაწყნარდა, მოვიდა სპარსი და ეხვეწებოდა პიტიახშს, ბორკილები აეხსნა წმინდა შუშანიკისთვის.

იმდენი ევედრა, რომ ბოლოს ვარსქენმა ბრძანა, ბორკილებისგან გაეთავისუფლებინათ დედოფალი და ერთ პატარა ოთახში შეეყვანათ. კარზე კი საგულდაგულოდ მცველი დაუყენა, რათა მის სანახავად არავინ შესულიყო - არც ქალი და არც კაცი

VII

ცოტა რომ ირიჟრაჟა, ვარსქენმა მსახურს ჰკითხა:

“როგორ გრძნობს თავს ჭრილობების გამო”.

ხოლო მან უპასუხა:

”ვერ გადარჩება”

მაშინ თავად შევიდა პიტიახში დედოფალთან და გაუკვირდა, როდესაც მისი საზარელი იარები იხილა. ვარსქენმა მსახურს უბრძანა:

”არავინ შევიდეს მის სანახავად.”

თვითონ კი სანადიროდ წავიდა.

ხოლო მე ავდექი და მივედი დედოფალთან და ვუთხარი მცველს:

”მხოლოდ მე შემიშვი, რათა ვიხილო მისი იარები”.

ხოლო მცველმა მითხრა:

”ვაითუ პიტიახშმა გაიგოს და მომკლას”.

და მე ვუთხარი მას:

”უბედურო, მისი გაზრდილი არ ხარ? და კიდეც რომ ამისთვის მოგკლას, რა მოხდება?!”

მაშინ შემიშვა მან ფარულად და როდესაც შევედი, ვიხილე შუშანიკის სახე დახეთქილი და დასივებული. ხოლო წმინდა შუშანიკმა თქვა:

“ნუ სტირი ჩემთვის, რადგან ეს ღამე სიხარულის დასაწყისად მექცა”.

და მე ვუთხარი წმინდა შუშანიკს:

“მიბრძანე და მოგბან სისხლიან პირს და ნაცრით სავსე თვალებს და წამალს და მალამოს დაგადებ, იქნება ამაღამ განიკურნო!”

ხოლო წმინდა შუშანიკმა მითხრა:

”ხუცეს, ამას ნუ იტყვი, რადგან ეს სისხლი ჩემი ცოდვების განმწმენდია.”

მე ძალა დავატანე მას, რათა საჭმელი ეგემა, რომელიც სამოელ და იოანე ეპისკოპოსებს გამოეგზავნათ და რომლებიც ფარულად ზრუნავდნენ და ანუგეშებდნენ დედოფალს. მაშინ მითხრა წმინდა შუშანიკმა:

”არ შემიძლია გემოს გასინჯვა, რადგან ყბა და ზოგი კბილი ჩამტვრეული მაქვს”.

მაშინ ავიღე ცოტაოდენი პური, ღვინოში ჩავალბე და მანაც მცირედი იგემა.

ვჩქარობდი წამოსვლას, მაშინ მითხრა წმინდა შუშანიკმა:

“ხუცეს, გავუგზავნო ვარსქენს მისივე ნაჩუქარი სამკაულები? ეგებ მოითხოვოს, რადგან ამ ცხოვრებაში აღარ დამჭირდება”.

ხოლო მე ვუპასუხე:

“ნუ ჩქარობ, დაიტოვე”.

როდესაც ამაზე ვსაუბრობდით, მოვიდა ვიღაც ჭაბუკი და თქვა:

“იაკობი მანდ არის?”

და მე ვუთხარი როგორღაც:

”რა გინდა?”

და მან მითხრა:

”პიტიახში უხმობს”.

და მე გამიკვირდა, თუ”რატომ მიხმობს ამ დროს”, და სწრაფად გავეშურე მასთან. და მან მითრა:

”იცოდი, ხუცეს? ჰუნებთან საბრძოლველად მივდივარ. და ჩემი სამკაულები მას არ დაუტოვო, რადგან ის ჩემი ცოლი აღარ არის, - მოიძებნება ვინმე, რომელიც მას მოიხმარს, მიდი და მომართვი ყოველივე”

ხოლო მე მივედი და ვუთხარი ყოველივე წმინდა შუშანიკს. ხოლო მან გაიხარა და ღმერთს მადლობა შესწირა და სამკაულები მომცა და მივართვი პიტიახშს. მან დაათვალიერა და დათვალა ყოველივე და ნახა, რომ არაფერი აკლდა და გაიმეორა:

”მოიძებნება ვინმე, რომელიც მოიხდენს ამას.”

VIII

დიდმარხვის დღეებში ნეტარი შუშანიკი წმინდა ეკლესიაში წავიდა, მის მახლობლად პატარა სენაკი მოიძია და იქ განმარტოვდა. სენაკს პატარა სარკმელი ჰქონდა, და ჩარაზა იგი და იყო იქ მარხვით, ლოცვით და ტირილით.

და უთხრა პიტიახშს ერთმა მისმა მახლობელმა:

”ამ წმინდა მარხვაში ნურაფერს ეტყვი მას.”

აღდგომის ორშაბათს პიტიახში ბრძოლიდან დაბრუნდა, ეშმაკი უმღვრევდა გულს. წავიდა იგი ეკლესიაში და ეპისლოპოს აფოცს ეუბნებოდა:

”დამიბრუნე ჩემი ცოლი, რატომ დამაშორე მას?”

და დაიწყო პიტიახშმა უშვერი სიტყვებით გინება და ღმერთის გმობა, ხოლო ერთმა მღვდელმა უთხრა მას:

“უფალო, რატომ იქცევი ასე, ამბობ ამგვარ ბოროტებას, აგინებ ეპისკოპოსს და რისხვით იხსენიებ წმინდა შუშანიკს?”

ხოლო მან კვერთხი ჩაარტყა მღვდელს ზურგში და ისიც დადუმდა.

ტალახსა და ეკლებში მოათრევდა ვარსქენი შუშანიკს ეკლესიიდან სასახლემდე. დედოფალი მკვდარს ჰგავდა - ადგილ-ადგილ ეკალბარდი დაჰფენოდა. და თვითონ ფეხს დგამდა ეკლებზე, და შუშანიკს სამოსელი და ხორცი მკერდზე წვრილ-წვრილად გადაგლეჯოდა.

და ასეთ მდგომარეობაში მოათრიეს იგი სასახლეში. ვარსქენმა მისი შეკვრა და ცემა ბრძანა, ბოროტებდა და ამბობდა:

“აჰა ესე, არ გამოგადგა ეკლესია შენი და არც ქრისტიანები, რომლებიც ზურგს გიმაგრებენ და არც უფალი მათი. “

და როდესაც დედოფალს სამსაჯერ დაარტყეს ჯოხი, მას არც კი დაუკვნესია. მაშინღა უთხრა შუშანიკმა ურჯულო ვარსქენს:

”უბედურო, საკუთარი თავი არ დაინდე და ღმერთს განუდექი და მე შემიწყალებ?”

როდესაც იხილა ვარსქენმა, რომ შუშანიკს სათუთი სხეულიდან სისხლი სდიოდა, ბრძანა, მისთვის კისერზე ჯაჭვი დაედოთ. და უბრძანა ერთ სენაკაპანს , შუშანიკი ციხეში წაეყვანა და ბნელ საპყრობილეში ჩაეგდო, რათა დედოფალი მომკვდარიყო.

IX

იმ დროს როდესაც წმინდა შუშანიკი სასახლიდან გამოჰყავდათ, მის გვერდით ეპისკოპოსის ერთი დიაკვანი იდგა, უნდოდა ეთქვა დიაკვანს: ”მტკიცედ იდექ!”. მაგრამ ამ დროს მას თვალი მოჰკრა პიტიახშმა და დიაკვანს აღარ დასცალდა, ესღა უთხრა: ”მტკი....” და მხოლოდ დადუმდა და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

მაშინ წამოიყვანეს და მოჰყავდათ წმინდა შუშანიკი ფეხშიშველი და თავდაუბურავი, როგორც ერთი ვინმე მდაბიოთაგანი და ვერავინ ბედავდა მისთვის თავის დაბურვას, რადგან ცხენზე ამხედრებული პიტიახში კვალდაკვალ გაჰყვა მას და აგინებდა უშვერად.

წმინდანს ურიცხვი ადამიანი მიჰყვებოდა. ხალხ ხმა აემაღლებინა - ტიროდა, ღაწვებს იხოკავდა და საცოდავად ცრემლს ათხევდა წმინდა შუშანიკისთვის. ხოლო წმინდა შუშანიკმა გამოხედა უკან მომავალთ და უთხრა:

“ნუ სტირით, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვით მომიხსენიეთ. და ამიერიდან გადშორდებით თქვენ, რადგან ციხიდან გამოსულს ცოცხას ველარ მიხილავთ”.

და როდესაც ნახა პიტიახშმა ქალისა თუ კაცის, მოხუცისა თუ ახალგაზრდის ვაება და ტირილი, ცხენით დასდევდა და ფანტავდა მათ. როდესაც ციხის ხიდს მიუახლოვდნენ, უთხრა პიტიახშმა წმინდა შუშანიკს:

”შენ ეგღა დაგრჩა ფეხით სავალი, რადგან იქიდან ცოცხალი ველარ გამოხვალ, არამედ ოთხი კაცი გამოგიტანს .”

და როდესაც ციხეში შევიდნენ, დედოფალი ჩრდილოეთით მდებარე ერთ პატარა და ბნელ საკანში დაამწყვდიეს. ჯაჭვი, რომელიც ვარსქენმა კისერზე დაადო, ისევე ედო, რომელიც ურჯულო ვარსქენმა საკუთარი კლიტით დაკეტა. ხოლო წმინდა შუშანიკმა თქვა:

”ეს მახარებს, რადგან აქ დავიტანჯები და აქვე განვისვენებ”.

ხოლო პიტიახშმა უთხრა მას:

”ჰო, ჰო, განისვენე!”

მაშინ დაუყენა ვარსქენმა დედოფალს მცველნი და თანაც გააფრთხილა, შიმშილით მოეკლათ იგი და ასე ეტყოდა მათ:

”გეუბნებით, თუ ვინმე შევა, გინდ მამაკაცი, გინდ დედაკაცი, გაუფრთხილდით საკუთარ თავს, ცოლ-შცილსა და სახლ-კარს, თორემ რასაც გიზამთ, უდანაშაულო ვიქნები.”

მაშინ გამოვიდა ციხიდან ვარსქენი და მესამე კვირა დღეს უხმო ერთ მცველსა და ჰკითხა:

”ის საცოდავი აქამდე კიდევ ცოცხალია?”

ხოლო მცველმა უპასუხა:

”მომაკვდავს მეტად ჰგავს, ვიდრე ცოცხალს, უფრო შიმშილით კვდება, რადგან არაფეს ჭამს”.

ხოლო ვარსქენმა თქვა:

”ნუ ნაღვლობ, დაე, მოკვდეს!”

მე ვევედრებოდი მცველს, შევეშვი დედოფალთან, საჩუქარსაც დავპირდი. და მან ძლივს იკისრა ჩემი შეშვება და მითხრა მე:

”როდესაც დაღამდება, მარტო მოდი.”

და როდესაც შემიყვანა მცველმა და ვიხილე იგი, ქრისტეს მცნებისთვის სამსხვერპლოდ გამზადებული კრავი, როგორც ქრისტეს საპატარძლო, ბორკილებითა და ჯაჭვით დამშვენებული, და ვერ მომითმინა გულმა და ავტირდი. ხოლო წმინდა შუშანიკმა მითხრა:

”ამ სიკეთისთვის ტირი, ხუცეს?”

ხოლო მცველმა მითხრა მე:

”ეს რომ მცოდნოდა, არ შემოგიშვებდი”,

ხოლო მე დავიწყე დედოფლის გამხნევება იმ სიტყვებით, რომლებიც ღმერთმა შთამაგონა. და სწრაფად წამოვედი მისგან და სახლში დავბრუნდი.

ხოლო პიტიახში ჩორს წავიდა და მისი ძმა ჯოჯიკი არ შესწრებია იმ ამბავს, რაც წმინდა შუშანიკს შეემთხვა. ჯოჯიკი დაედევნა პიტიახშს და ჰერეთის საზღვართან დაეწია და ევედრებოდა მას, რათა ებრძანა შუშანიკისთვის ბორკილის ახსნა.

და რაკი ძალიან შეაწყინა თავი, პიტიახშმა ბრძანა, დედოფლისთვის მხოლოდ ბორკილები და ჯაჭვი აეხსნათ. როდესაც ჯოჯიკი დაბრუნდა, მან მოხსნა შუშანიკს

კისერზე დადებული ჯაჭვი, ხოლო ბორკილის ახსნა თავად დედოფალმა არ ინდომა სიკვდილამდე.

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შუშანიკი ციხეში იყო და ღვთაებრივი ცხოვრების წესით ცხოვრობდა: მარხვით, მუდამ სიფხიზლით, ფეხზე დგომით, განუწყვეტელი თაყვანისცემითა და მოუწყენელი წიგნის კითხვით. გააბრწყინა და გაამშვენიერა მთელი ციხე თავისი სულიერი ქნარით.

XI

და მას მერე მთელს ქართლს მოედო შუშანიკის საქმეები. და მიჰქონდა ქალსაც და კაცსაც აღთქმული შესაწირავი და ვისაც რა სჭირდებოდა, ეძლეოდა ნეტარი შუშანიკის წმიდა ლოცვით.

რასაც მიანიჭებდა მას კიაცთმოყვარე ღმერთი: უშვილოებს - შვილი, ავადმყოფებს - კურნება, ბრმებს - თვალის ჩინი.

იყო ერთი სპარსი მოგვი ქალი, კეთრით დაავადებული, და მივი იგი წმინდა შუშანიკთან. ხოლო დედოფალი ასწავლიდა მას, რათა უარეყო მოგვობა და ქრისტიანად მონათლულიყო. ხოლო ეს ქალი მალევე მოექცა.

და იგი ასწავლიდა ქალს და ეუბნებოდა: ”წადი იერუსალიმში და განიწმინდე კეთრისაგან”.

ქალმა გულმოდგინედ შეითვისა ყოველივე და ჩვენი უფალის იესო ქრისტეს სახელით წარემართა იერუსალიმში და განიკურნა ავადმყოფობისგან.

და როდესაც უკან დაბრუნდა, მაშინვე მივიდა წმინდა შუშანიკთან მადლობის გადასახდელად და წავიდა გახარებული.

XII

წმინდა შუშანიკმა აბრეშუმით ხელსაქმობის მსგავსად, დიდი გულმოდგინებით ხელში აიღო “დავითნი” და რამდენიმე დღეში ასორმოცდაათი ფსალმუნი

დაისწავლა, რომლითაც დღე და ღამ ზეციურ მეუფეს ცრემლით სათნო გალობას შესწირავდა.

და უთხრეს ნეტარ შუშანიკს:

”შენი შვილები ვარსქენმა მოგვთა სარწმუნოებაზე გადაიყვანა”.

მაშინ დაიწყო დედოფალმა ტირილით უფლის თაყვანისცემა და თავს მიწას ურტყამდა, ამოიოხრა და თქვა:

”გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რადგან ისინი ჩემი კი არა შენი მოცემულნი იყვნენ. როგორც გენებოს, იყოს ნება შენი, უფალო, მე კი დამიცავი ბოროტი საქმეებისგან.”

და მივედი მე და ვიხილე წმინდა შუშანიკი, ტირილისაგან გამშრალი გამოფიტული და დაღლილი. და რამეთუ წმინდა ეპისკოპოსს მისთვის გამოეგზავნა საზრდო, ვაიძულე მცირეოდენი ეგემა და ღმერთს მადლობას ვწირავდი.

და თუ აქამდე მისი შვილები დადიოდნენ დედის სანახავად, ახლა, როდესაც უარყვეს ჭეშმარიტი ღმერთი, ვეღარ ბედავდნენ მის ნახვას, ხოლო დედოფალს მათი სახელის გაგონებაც კი სძაგდა

XIII

შემდეგ მოციქულები გამოგზავნა პიტიახშმა და თქვა:

”ჩემს ნებას დაჰყევი და სასახლეში დაბრუნდი. თუ არ მოხვალ, ვირზე შესმულს კარდაკარ ჩამოგატარებ.”

ხოლო წმინდა შუშანიკმა ასე მიუგო:

”უბედურო და უგულო, ხოლო მე თუ კარდაკარ ჩამომატარებ ან ჩორდს წამიყვან, ვინ უწყის, იქნებ რაიმე სიკეთეს გადავეყარო და ამ ბოროტებას განვშორდე”.

გულში ამბობდა პიტიახში იმ სიტყვების გამო, რაც უთხრა შუშანიკმა: “ვინ უწყის, იქნებ, რაიმე კეთილს გადავეყარო”. და ფიქრობდა პიტიახში: “ვინძლო ვინმე მთავართაგანს ეცოლოს”.

და ამის შემდეგ აღარავინ მიუგზავნია. ხოლო წმინდა შუშანიკი საშინელ ტანჯვას ითმენდა, რადგან ღმერთს იყო მინდობილი.

ხოლო პიტიახშმა საკუთარ ძუძმტეს დაავალა, შუშანიკი სასახლეში დაებრუნებინა. მივიდა კაცი და უთხრა შუშანიკს:

“დამიჯერე და დაბრუნდი სასახლეში და ნუ ააოხრებ საკუთარ სახლს”

ხოლო შუშანიკმა უთხრა მას:

”გადაეცი მაგ ურჯულოს, რომ “შენ მომკალი და მითხარი: ცოცხალი შენი ფეხით ველარ გამოხვალ ამ ციხიდან”. ხოლო თუ მკვდრის გაცოცხლება შეგიძლია, ჯერ დედაშენი აღადგინე, რომელიც ურდს არის დამარხული. თუ ეს არ შეგიძლია, ვერც ჩემს წაყვანას მოახერხებ, რომც წამათრიო”.

და როდესაც პიტიახშს ეს სიტყვები გადასცეს, მან თქვა:

”ნამდვილად ასე ვთქვი”.

და მეორე დღეს ვიღაც შევიდა წმინდა შუშანიკთან და უთხრა:” კეთილად უპასუხე, რადგან ამ გზით უნდა შენი გადმობირება და მას გულში ბოროტი ზრახვა უდევს.”

წმინდა შუშანიკმა უპასუხა მას:

”შენ ღმერთი მძინარე ნუ გგონია, რომელმაც მისცა ადამიან სიტყვის თქმის ძალა, რადგან იტყვის თავად უფალი:

“მე მიუგო სიტყუაი თქვენ წილ”.

და როდესაც შუშანიკის საპყრობილეში ყოფნიდან მეექვსე წელი სრულდებოდა, გვემისა და დაუღალავი ღვაწლისაგან დასნეულდა იგი, რასაც წინასწარ ვეუბნებოდი:

”დაიტანჯები, რადგან ხორცს დაიმძიმებ, რამეთუ ვერ გაუძლებ და მერე ვეღარ შეძლებ კეთილი საქმის კეთებას ამდენი მარხვითა და მუდამ ფეხზე დგომითა და უძილობით, ფსალმუნებითა და გალობით”.

მან კი ოდნავადაც არ დაისვენა და ჩაიფერფლა.

ხოლო დიდმარხვის დროს აღდგომის კვირეულში ერგასის დღეებში, ექვსი წლის მანძილზე ღამითაც კი არ ჯდებოდა, არც იძინებდა, არც ჭამდა, ხოლო აღდგომის კვირას ეზიარა ქრისტეს ხორცსა და სისხლს;

შემდეგ ცოტაოდენი ფხლის ნახარში იგემა, ხოლო პურისთვის აღდგომამდე პირი არ დაუკარებია.

ციხეში ყოფნის დღიდან სასთუმალზე თავი არ დაუდია, თავქვე აგურს იდებდა, ქვეშაგებლად ერთი ძველი ნაბადი ჰქონდა, ხოლო სხვათა დასანახად სასთუმალის მხარეს ტყავის მოსასხამი ედო, თაყვანსაცემად - ერთი პატარა ბეწვის ტყავის ნაგლეჯი და იქაურობას რწყილი და ტილი ეხვეოდა.

ამ ადგილებში ზაფხულობით განსაკუთრებული სიცხეა და ცხელი ქარი იცის. წყალი მავნებელია.

აქ მოსახლეობა დაავადებულია, დაშუპებული და გაყვითლებული, დაწინწკლული და დამჭკნარი და დამუნიანებული, დამუწუკებული, პირდასიებული და დღემოკლე;

ამ მხარეში მოხუცებული არავინაა, და ასეთ პირობებში ექვსი წელი იყო შუშანიკი ბორკილდადებული და დატყვევებული და ადიდებდა ღმერთს.

და ვიდრე საპყრობილეში ყოფნისს მეშვიდე წელი დადგებოდა, სამგზის სანატრელ შუშანიკს სხეული დაუწყლულდა და დაუცხრომელი ღვაწლისგან ფეხები დაუსივდა.

ჩირქი ამოსდიოდა ადგილ-ადგილ. წყლულები დიდი ჰქონდა და მასზე მატლი ეხვეოდა, რომელიც თავის ხელით აიღო და მიჩვენა და მადლობას სწირავდა უფალს და ამბობდა:

”ხუცეს ნუ გიმძიმს ამის ყურება, რადგან ეს მატლი უდიდესია და არ მოკვდება”.

და როდესაც ვიხილე მატლი, საოცარმა მწუხარებამ შემიპყრო და ვტიროდი. მითხრა შუშანიკმა მკაცრად:

”ხუცეს, რატომ წუხარ? სანამ უკვდავი მატლები შეგჭამენ, უმჯობესი არაა ამ ცხოვრებაში მოკვდავმა მატლებმა შეგჭამოს”.

და მე მივუგე მას:

”უხეში სამოსის ტარება გეცოტავება სატანჯველად? მატლი რომ გეხვევა ეს გახარებს!”

და ის შემეხვეწა:

”ნურავის ეტყვი, რომ ძაძით ვარ შემოსილი, რადგან ჯერ ადრეა ჩემი უბადრუკი ხორცის დატოვება.”

მას შიგნით ძაძი ემოსა და ამის შესახებ ჩემს გარდა არავინ იცოდა, ხოლო ხალხის დასანახად ანტიოქიური უსახელო წამოსასხამი ეცვა.

XVI

როდესაც შეიტყო ჯოჯიკმა, რომ ნეტარი დედოფალი, წმიდა შუშანიკი, სიკვდილის პირას იყო, წავიდა მის სანახავად და თან წაიყვანა ცოლ-შვილი და მონა-მხევალნი. და მივიდა ციხეში სანატრელი მოწამე შუშანიკის სანახავად. როდესაც მივიდა, ძალით შევიდა, თაყვანი სცა პატიოსან ჯვარს და მოიკითხა წმინდა შუშანიკი, იქვე დაუჯდა და ეკითხებოდა მის სატკივარზე. ხოლო წმინდა შუშანიკმა უთხრა:

”კარგად ვარ, როგორც ღმერთს სწადია, ხოლო იმ გზას, რომელსაც ყველა გაივლის, მეც შევუდგები.”

ხოლო ჯოჯიკი მაშინვე ადგა, ინანიებდა ყველა უკეთურ საქმეს, რაც ჩაუდენია, და ევედრებოდა წმინდა შუშანიკს და ეტყოდა:

”ქრისტეს პატარძალო და მხევალო, ევედრე ღმერთს, რათა მომიტევოს მრავალი შეცოდებანი ჩემნი”.

ხოლო წმინდა შუშანიკმა უთხრა მას:

”თუ შენ ყრმასავით არაფერი ჩაგიდენია, ღმერთმა მოგიტევოს”.

და ჯოჯიკმა თქვა:

”ამისთვის მოვედი შენთან, რადგან ღმერთს აღარ შევცოდო”.

ხოლო წმინდა შუშანიკმა თქვა:

”თუ ასე მოიქცევი, უკვდავ მექმნე მე მაგ სიტყვებით და ღმერთმა შესძინოს დღეები შენს ცხოვრებას.”

და შემდეგ შეატყო ჯოჯიკმა, რომ შუშანიკი სიკვდილის პირას იყო, და უთხრა:

”გვაკურთხე მე, ჩემი ცოლ-შვილი და მონა-მხევალი, და თუ რამ შეგცოდეთ, როგორც წუთისოფლის მოყვარე ადამიანებმა, მოგვიტევე და ნუ მოიხსენებ ჩვენს ცოდვებს”.

ხოლო წმინდა შუშანიკმა უთხრა ჯოჯიკს და მის ცოლს:

”უგულოდ მომექეცით, რადგან არავინ მოიძებნა კაცთაგან, რომელიც ჩემს ტკივილს გაიზიარებდა, რომელიც დაარწმუნებდა ჩემს ამქვეყნიურ ურჯულო მეუღლეს.

ხოლო ჯოჯიკმა თქვა:

”ჩვენ შენს გარეშე დიდდად გავისარჯეთ, მაგრამ ვარსქენმა არცა რა შეისმინა, არცარა თქვა. “

მაშინ თქვა წმინდა შუშანიკმა:

”განვისაჯებით უზენაესი მსაჯულის, მეუფეთა მეუფის მიერ მე და ვარსქენ პიტიახში იქ, სადაც არ არის უსამართლობა, სადაც არ არის მამაკაცისა და ქალის გარჩევა,

სადაც მე და მან თანასწორი სიტყვა ვთქვათ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს წინაშე; მიუზღოს მას უფალმა იმისთვის, რომ უდროოდ ნაყოფი ჩემი დაკრიფა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყვავილი ჩემი დააჭკნო, მშვენიერება ჩემი სიკეთისა დააბნელა და ჩემი დიდება დაამდაბლა. და ღმერთი განგვსჯის ორივეს. ხოლო ახლა ამას ვმადლობ ღმერთს, რამეთუ, ვარსქენისგან მოყენებული ტანჯვის გამო, ლხინი ვპოვო და მისგან მოყენებული ტანჯვით, განსვენება მოვიპოვო, და მისი უგულობისა და შეუწყნარებლობის წილ, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესგან, წყალობა მივიღო.”

ამ სიტყვების გამგონენი ტიროდნენ მწარედ და თქვეს:

”მოგვიტევე ჩვენი შეცოდებანი და გვაკურთხე, წმინდაო მოწამეო და მარტვილო სანატრელო ქრისტე ღმერთისაო”.

ხოლო წმინდა შუშანიკმა თქვა:

”ღმერთმა მოგიტევოთ, რაც ჩაიდინეთ”.

მაშინღა აკურთხა ჯოჯიკი, მისი ცოლ-შვილი, მონა-მხევალი და მისი სახლ-კარი. ასწავლიდა ღმერთისკენ სავალ გზას და ეუბნებოდა:

”ეს წუთისოფელი, როგორც მინდვრის ყვავილი, წარმავალი და ცვალებადია, ვინც დათესა - მოიმკო და ვინც გასცა გლახაკთათვის - დააგროვა და ვინც დაღუპავს საკუთარ თავს, იგი იპოვის ღმერთს, რომელიც განდადიდებს მას.”

და გამოისტუმრა ისინი მშვიდობით.

XVII

ჯოჯიკის შემდეგ დედოფალს მთავარეპისკოპოსები სამოელ და იოანე ეწვივნენ, რომლებიც თანაუგრძნობდნენ და ინაწილებდნენ მის ღვაწლს; მადლობით ისტუმრებდნენ ზეციურ საუფლოში.

ასევე მოინახულეს წმინდა შუშანიკი ქართლის დიდებულმა აზნაურებმა, წარჩინებულმა ქალბატონებმა, აზნაურებმა და უაზნოებმა. მათ, ვინ გულმოდგინე თანამოზიარენი იყვნენ დედოფლის საქმეებისა.

ყველა, ეპისკოპოსნიც და აზნაურნიც, ერთს სთხოვდა წმინდანს, რათა, მისივე ბრძანებით, ფეხებზე დადებული ბორკილი აეხსნათ.

ამაზე წმინდა შუშანიკმა თქვა:

”მე რა ღირსი ვარ ამის? მე რისი შემძლე ვარ, ხოლო ყოვლად-სავსება იესომ აგავსოთ თქვენ ყოველივე სიკეთით, რომლებმაც გაიზიარეთ ჩემი ჭირი და ტანჯვა. ხოლო მე, საყვარელნო, ჩემთვის წინასწარგამზადებულ საუკუნო გზას შევუდგები.

ჩემი ჭირის სანაცვლოდ ქრისტემ მომმადლოს სიხარული, ამ სატანჯველთა წილ - განსვენება, ამ ტანჯვისა და შეურაცხყოფისთვის მივეახლები მე დაუსრულებელ დიდებასა და პატივს ცათა შინა.”

ციხიდან ყველა თვალცრემლიანი წამოვიდა, ლოცულობდნენ და ღმერთს ადიდებდნენ.

XVIII

და დადგა წმინდა შუშანიკის გარდაცვალების დღეც; უხმო კარის ეპისკოპოს აფოცს და ჰმადლობდა მას თანადგომისთვის.

როგორც მამას და გამზრდელს, შემავედრა მე კაცი ცოდვილი და გლახაკი და ბრძანებდა დაესვენებინათ მისი ძვლები იქ, საიდანაც პირველად გამოათრიეს და ამბობდა:

”თუ ღირსი ვარ, როგოც უკანასკნელი, მეთერთმეტე მუშაკი ვენახისა, იყავით ყველანი კურთხეულნი საუკუნოდ”.

და მადლობას წირავდა ღმერთს და თქვა:

”კურთხეულია უფალი, ღმერთი ჩემი, რამეთუ მშვიდობით დავწვე და დავიძინო.”

და სული ყველას შემწყნარებელ უფალს შეავედრა.

XIX

და მაშინ სასწრაფოდ მოიტანა იაოანე ეპისკოპოსმა სუდარა დედოფლის წმიდათაწმიდა და პატიოსანი ძვლების შესახვევად. ჩვენ ავიღეთ წმინდანის ცხედარი, მატლებისგან დაჭმული და განვბანეთ და შევმოსეთ სუდარით.

მაშინ კი იოანე და აფოც ეპისკოპოსებმა, როგორც დაუღალავმა ზეციურმა ხარებმა, იქ მყოფებთან ერთად ფსალმუნებით, ანთებული ლამპრითა და საკმევლის კმევით გამოვიტანეთ მისი წმინდა ძვლები ეკლესიიდან და დავკრძალეთ იმ ადგილას, სადაც წმინდანმა დაიბარა.

ის ღამე გავათენეთ და ფსალმუნების კითხვით ვადიდებდით უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, რომელიც ყოვლისშემძლეა, გააძლიერებს ქალსაც და კაცსაც და იმათ საკუთარ ძლიერებას მიჰმადლის, რომლებიც ეძიებენ მას წრფელი გულით.

XX

წმინდა შუშანიკის ტანჯვა აპნისის თვეს დაიწყო, მერვე თვეს, ოთხშაბათ დღეს; და მეორედ წამება, აღდგომის ზატიკის შემდეგ ოთხშაბათ დღეს;

შემდგომი წამება 19 მაისს, ხოლო გარდაცვალება 17 ოქტომბერს, სანატრელი კოზმა და დამიანეს ხსენების დღეს.

ხუთშაბათ დღეს განვაწესეთ წმინდა შუშანიკის ხსენების დღე, სადიდებლად და საქებრად უფლისა, მამისა და ძისა და წმინისა სულისა, რომელსაც მოსავს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წყარო : http://www.aura.ge/